საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/73

ქ. ბათუმი 05 ივლისი, 2023 წ.

ბსუ-ს 2023 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების პროგრამული ანგარიშების (შუალედური) მოსმენის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილების, „ბსუ-ში 2023 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“ 2023 წლის 31 იანვრის №06-01/04 დადგენილების, სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (MES 9 23 0000708211, 19.06.2023) და <u>პროექტის ხელმძღვანელების/მენეჯერების:</u> მარინა ქორიძის, ნათელა ტატემაძის, ომარ ნაკაშიძის, დალი მახარაძის, მირანდა ხაჯიშვილის, რაულ გოცირიძის, ზურაბ მიქელაძის, მაკა მურადაშვილის, გიორგი აბუსელიძის, ეკატერინე შაინიძის, ზეინაბ გვარიშვილის, გურამ ჩხატარაშვილის, თამარ მაჭუტაძის, ირაკლი მანველიძის, ლეილა ახვლედიანის, თეა ქოიავას, მზია ხახუტაიშვილის მოხსენებების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოწონებული იქნეს ბსუ-ს **2023 წლის** მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების <u>ხელმძღვანელების/მენეჯერების მიერ წარმოდგენილი</u> პროგრამული ანგარიშები (შუალედური):

1.1. **„MTHFR 677 C/T გენის პოლიმორფიზმთან ასოცირებული ზოგიერთი დაავადება ხანდაზმულ ადამიანებში“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი **მარინა ქორიძე** (წინამდებარე დადგენილების **N1 დანართი**);

1.2. **„ჭურიის ტორფნაში მძიმე მეტალების დაგროვების ბუნება შრეების მიხედვით“** - <u>ახალგაზრდა მკვლევარი,</u> ხელმძღვანელი/მენეჯერი ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **ნათელა ტეტემაძე** (წინამდებარე დადგენილების **N2 დანართი);**

1.3. **„ნანო სტრუქტურების ელექტრული და ოპტიკური თვისებების გამოკვლევა, ეფექტური გარემოს მეთოდების გამოყენებით“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოც. პროფესორი **ომარ ნაკაშიძე,** (წინამდებარე დადგენილების **N3 დანართი).**

1.4. **„მრავლადწრფივი ექსტრაპოლაციისა და აპროქსიმაციის თეორიის ამოცანები გრანდ და მორის ტიპის ფუნქციურ სივრცეებში“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოც. პროფესორი **დალი მახარაძე** (წინამდებარე დადგენილების **N4 დანართი);**

1.5. **„ნივთიერების ოპტიკური თვისებების კვლევა რამდენიმე პოპულარული ქართული თეთრი ღვინის სახეობის სტატისტიკურ-კომპიუტერული ეტალონური მოდელების შექმნის მაგალითზე“** - <u>ახალგაზრდა მკვლევარი,</u> ხელმძღვანელი/მენეჯერი ფიზიკის დოქტორი, ბსუ-ს მოწვეული უფროსი მასწავლებელი **მირანდა ხაჯიშვილი** (წინამდებარე დადგენილების **N5 დანართი);**

1.6. **„ფართო დიაპაზონის ფოროვნების მაღალი მექანიკური თერმო და ქიმიურად მდგრადი მიკროფილტრაციული მემბრანების მიღება“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **რაულ გოცირიძე** (წინამდებარე დადგენილების **N6 დანართი);**

1.7. **„აჭარის სუბალპურ ზონაში ადგილობრივი და ინტროდუცირებული მოცვის ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების რაციონალური ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვის ორგანიზაცია“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **ზურაბ მიქელაძე** (წინამდებარე დადგენილების **N7 დანართი);**

1.8. **„ფიტოპათოგენების მიმართ ანტაგონისტი მოკროორგანიზმების შესწავლა და აქტივობით გამორჩეული იზოლატების სექვენირება“** - <u>ახალგაზრდა მკვლევარი,</u> ხელმძღვანელი/მენეჯერი - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **მაკა მურადაშვილი** (წინამდებარე დადგენილების **N8 დანართი);**

1.9. **„ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები რეგიონში ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევების პირობებში“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **გიორგი აბუსელიძე** (წინამდებარე დადგენილების **N9 დანართი);**

1.10. **„უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე“** - ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი **ეკატერინე შაინიძე** (წინამდებარე დადგენილების **N10 დანართი);**

1.11. **„ბსუ-ს „ევროპარლამენტის TermCoord-ისა და corpus.bsu.edu.ge-ს ტერმინოლოგიური კოორდინაცია“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორი **ზეინაბ გვარიშვილი** (წინამდებარე დადგენილების **N11 დანართი);**

1.12. **„ხუცუბნის უძველეს მონადირე-შემგროვებელთა საცხოვრებელი გარემო და მათი მობილურობა ადრე ჰოლოცენის ხანაში (ძვ.წ. X- VII ათ.)“** - <u>ახალგაზრდა მკვლევარი,</u> ხელმძღვანელი/მენეჯერი არქეოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს მოწვეული უფროსი მასწავლებელი **გურამ ჩხატარაშვილი** (წინამდებარე დადგენილების **N12 დანართი);**

1.13. **„ქართულ-ფრანგული ანდაზების კვლევა და თემატური კრებულის შექმნა“** - <u>ახალგაზრდა მკვლევარი,</u> ხელმძღვანელი/მენეჯერი ფილოლოგიის დოქტორი, სამეცნიერო კვლევების სამსახურის ხელმძღვანელი და ბსუ-ს მოწვეული უფროსი მასწავლებელი **თამარ მაჭუტაძე** (წინამდებარე დადგენილების **N13 დანართი);**

1.14. **„ღია მმართველობა როგორც საჯარო მმართველობის რეფორმირების ახალი მოდელის შესწავლა საქართველოს მაგალითზე“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი - იურიდიული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის პროფესორი **ირაკლი მანველიძე** (წინამდებარე დადგენილების **N14 დანართი);**

1.15. **„ზოგიერთი აუტოიმუნური დაავადების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ლეილა ახვლედიანი** (წინამდებარე დადგენილების **N15 დანართი);**

1.16. **„ნოზოკომიური ინფექციების სპექტრის და ანტიბიოტიკორეზისტენტობის პროფილის შესწავლა COVID-19-ით ინფიცირებულ პაციენტებში”** - ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **თეა ქოიავა** (წინამდებარე დადგენილების **N16 დანართი);**

1.17. **„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით შესრულებული ხელნაწერების ციფრული კორპუსი“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **მზია ხახუტაიშვილი** (წინამდებარე დადგენილების **N17 დანართი).**

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს, ბსუ-ს მიზნობრივი პროექტების ხელმძღვანელებს, პროექტების განმახორციელებელი პერსონალის მიხედვით შესაბამის ფაკულტეტებს და სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას).

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**